გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 95

2024 წლის 14 ივნისი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს“ (ს/ნ 418478034) 2023 წლის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს“ (ს/ნ 418478034) 2023 წლის ფინანსური ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს“ (ს/ნ 418478034) 2023 წლის ფინანსური ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 2 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის

ინტერმუნიციპალური სააგენტო

ქ.გორი. შინდისის გზატკეცილი მე-2 კმ. ტელ.(+995)595-33-55-08 E-mail. Shidaqartlidogs@gmail.com

47

27.05.2024წ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ დავით რაზმაძეს

ბატონო დავით,

თქვენი 2024 წლის 14 მაისის #21-21241353 წერილის პასუხად, გიგზავნით ინფორმაციას ა(ა)იპ „მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს“ 2023 წლის საქმიანობის სააგენტოს ფინანსურ ანგარიშს.

დანართი 1 ფურცლად

პატივისცემით

დირექტორი ბაქარი გიუნაშვილი

ფინანსური ანგარიში
2023 წელი

ა(ა)იპ მისაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალურ სააგენტოს საშტატო ნუსხა განსაზღვრულია 59 ადამიანით, საიდანაც დასაქმებულია 55 ადამიანი, აქედან შტატიანი თანამშრომელია 11, ხოლო შტატგარეშე 44. თანამშრომელთა უფლებამოვალეობანი განსაზღვრულია სააგენტოს დებულებით და შინაგანაწესით.

ა(ა)იპ მისაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 1 157 772 ლარით. 2022 წლის ნაშთი შეადგენს 10869 ლარს, რომელიც ასახულია 2023 წლის ბიუჯეტში.

2023 წლის განმავლობაში გახარჯულია 1 062 554 ლარი, აქედან:

- შტატში მყოფ თანამშრომელთა ანაზღაურება 184 663 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 544 816 ლარი;
- პრემია/დანამატი - 14 149 ლარი;
- მივლინების ხარჯი - 1020 ლარი;
- ოფისის ხარჯი- 115 412 ლარი;

ოფისის ხარჯებში შედის ძირითადად კომუნალური გადასახადები და ვოლიერების და ოფისის რეცხვა/ქიმწმენდისა და დასუფთავების ხარჯები.

- ცხოველთა კვების ხარჯები - 28 980 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი - 51065 ლარი;
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი - 10 621 ლარი,
- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 33 514 ლარი;
- ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის და რემონტის ხარჯები - 18237 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება- 614 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა (ბიულეტინი) – 1488 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 8085 ლარი;
- შესყიდული იქნა 3 სპეც. ავტომანქანა - 49 890 ლარი.

2023 წლის განმავლობაში საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 20 250 ლარი.

წლის ბოლოსთვის აუთვისებელი ნაშთი 126 337 ლარი გადატანილია 2024 წლის ბიუჯეტში.